ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3835534

ნომერი: AR1576473

თარიღი : 09.02.2018

გაცემის თარიღი : 21.02.2018

გაცნობის თარიღი : 22.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 24ბ ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ ლეჟავა პ/ნ 01024062576
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 48 კორ. 1 ბ. 10

ორგანიზაცია:
- შპს''მაგი სტილი'' კოდი: 208149895

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს,

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად, უნდა დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დატანილ უნდა იქნას ფოტომონტაჟზე

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, საპროექტო ფართია პირველ სართულზე მდებარე ოფისი #3, რომლის მოსარგებლედ ფიქსირდება სს თიბისი ბანკი, ხოლო წარმოდგენილი ფოტომონტაჟით სამუშაოების განხორციელება ხდება ზედა სართულზე. აღნიშნულთან დაკავშირებით განიმარტოს ინფორმაცია მოთხოვნის ტექსტში და საჭიროების შემთხვევაში წარმოსადგენია შესაბამისი განახლებული დოკუმენტაცია.

ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილებისა (მოსარგებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა ან აღნიშნული პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად) და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი ხელშეკრულება). გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

ვინაიდან სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოსადგენია მესაკუთრის/მესაკუთრეების სათანადოდ დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით ან დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ასევე, შესაძლებელია სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, თუ ის ითვალისწინებს ასეთ თანხმობას.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.